

1887

სამეატრო



საყოველ-კვირად სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1887 წელსა

№ 12

აპრილის 12.

გაზეთი ღირს: ერთის წლ. 5 მ., ნახ. წლ. 3 მ., ცალკე ნომ. 15 კ.
 ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქ. კანტორაში. ფოთში
 ბესარ. კალანდაძესთან. ადრესი გარეშე მცხოვრებთათვის: ТИФ-
 ЛИСЬ, ВЪ РЕДАКЦІЮ ГАЗЕТЫ „ТЕАТРЪ.“ გაზეთი ისუიდება: თბი-
 ლისში ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში; ხიდის ყურთან: ალიხანოვის პაპირო-
 ზის მაღაზიაში. ქუთაისში: ჭილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკ-
 მახერ არსენასთან.


საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენცია) გარკვევით
 უნდა იყოს დაწერილი. თუ საჭიროება მოითხოვს წერილებს რედაქცია შეა-
 სწორებს. რედაქცია არა კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და მათ
 შესახებ მიწერ-მოწერას.

ყოველ წერილში უნდა იყოს მოხსენებული: სახელი, გვარი და სა-
 ცხოვრებელი ადგილი დამწერისა.

მოგონება.

იოსებ დავითაშვილის წარსული.

ძარგია ვინც ფრინველივით გამოდის დღითი-დღე;
 კარგია ვისაც არ აფიქრებს არც წარსული, არც აწმყო, არც
 მომავალი. საწყალი კაცი, რომ დაფიქრდება თავის ცხო-
 ვრებაზე, არ შეიძლება არ გაუოროკეცდეს დარდი და მწუხარე-
 ბა, არ შეიძლება არ შეირყეს მისი იმედები მომავალზე. სა-
 ნამ კაცი არ მოიგონებს სხვა-და-სხვა მაგალითებს თავისი
 წარსულიდამ, შორს მკვრეტი თვალით არ დააკვირდება მათ
 და არ შეადარებს აწმყოსთან, შეიძლება ცოტა რამ იმედი,
 ცოტა რამ ნუგეში კიდევ ჰქონდეს თავის მომავალზე, მაგრამ
 რა წამს დაფიქრდება—თავ ზარ დაცემულს მუხლები ჩაეკრი-



ფება, ყოველი იმედი გაუქარწყლდება: ცხადად დაინახავს, რომ ჩვენ მამა-პაპათ უფრო ბევრი უკეთებიათ, ვიდრე ულა-პარაკნიათ და, ვისაც ბევრი უკეთებია—დაფასებულიც ისა ყოფილა ყველასაგან. ჩვენ კი... ჩვენი ხელიდამ არაფერი საქმე არ გამოდის, სიტყვით კი ერთი ეხლანდელი ოცს უწინდელს გადააჭარბებს. მხლა იმას ვაფასებთ, იმას ვაძლევთ ლუკმა-პურის შოვნის სახსარს, ვინც ცარიელა ლაპარაკის მეტი არა არის-რა. ვინც ასეთი არ არის, იმედი ნუ აქვს, რომ ცარიელი ლუკმა-პური გამოუღვევლად ჰქონდეს; იმედი ნუ აქვს, რომ რაც უნდა კაცობრიული ღირსებებით სავსე იყოს, იმას ლუკმა-პური მიაწოდოს ვინმემ შიმშილითაც რომ კვდებოდეს.

მხლანდელ დროში, ვინც კაცური ღირსებებით არის სავსე, ვინც არ არის ფლიდი, შური, ორპირი, ვისაც თავისი თავი დაეწყებული აქვს და მარტო მოყვასზე ფიქრობს, იმას პატივს ვცემთ... მარტო გულში. მეტის-მეტად იქნება კაცი გაფუჭებული, რომ „გულში“ მაინც პატივს არა სცემდეს ზემო მოყვანილი ღირსებების მქონე კაცს, მაგრამ ამ პატივს საცემ კაცს, რაც უნდა გაჭირება ჰქონდეს—არ შევეწვევით რაც უნდა ბევრი შეგვეძლოს, თუ ეს უკანასკნელი ჩვენი ხარისხისა არ არის.

მე, ამ პატარა შენიშვნის დამწერი, კარგად ვიცნობდი, განსვენებულს იოსებ ღვითაშვილს. ის იყო ღარიბი, ლატაკი დედ-მამის შვილი. უფროსი მისი ძმა ზიგო ღვითაშვილი (ამ 5—6 თთვის წინად გარდაიცვალა შემლილთა საავადმყოფოში) ცხოვრობდა თბილისში და ნარდათ იღებდა სახლების შენებას და სხვა ამ გვარ საქმეებს. არ მახსოვს 1868 თუ 1869 წელში ჩამოიყვანა თავისი ძმა იოსები სოფლიდამ და მიაბარა ვილაც მეჩუქურთმეს. იოსები აქ არ დადგა დიდხანს. იშოვნა ამ ხელობის (ჩუქურთმის) უუსაჭიროესი იარაღები და თავი დაანება თავის ოსტატს. პვიდოდა ხოლმე კვირაცხოვლის მთაზე (კუკიაში) და იქ უოსტატოდ სწავლობდა ხელობას.

მრთი წლის განმავლობაში ისე შეისწავლა ეს ხელობა, რომ პატარა „რამკების“ გაკეთება შეუკვეთა ვილაც ვაქარმა. რადგანაც არა ჰქონდა სხვა-და-სხვა წერილი იარაღები, რომელიც მისთვის იყო საჭირო, ამისათვის მიჰმართა თავის ძველ ნაოსტატარს ამ პირობით, რომ მოგება შუაზედ უნდა გაეყოთ.

რომ უფრო გაემშვენიერებინა შეკვეთილი „რამკები“ იოსებმა ისურვა სხვა-და-სხვა ზოლებში ამოეჭრა სახელი და გვარი პატრონისა და მომმართა მე შემდეგი სიტყვით: ბ. №! მე ვნახე შენი ნაწერი, ძალიან მომეწონა; ნუ დაიზარებ მთავრული ასოები დაძიწერე „ზაკაზისთვის“ მინდა, მეჩე წერას შევისწავლი. (ზედ მიწვევის ეს არის იმის სიტყვები). ამ დროს ამოიღო უბიდგან ქუჩიანი ქალაღი, რომელზედაც იყო დაწერილი ქართული ანბანი ძალიან ცუდი ასოებით. „ბი ეს დავწერინე (ალარ მახსოვს ვისზე მითხრა), მგონია რომ კარგი ასოები არ უნდა იყვეს, მაგრამ მაინც ვცდილობ“ და, მაჩვენა რამდენიმე ფიცარი სადაც ნახშირით ეხატნა ეს ასოები. მე დაუწერე ახალი ანბანი. ეს იყო 1872—73 წ. უყიდე კარანდაში და ქალაღი... როდესაც გარდავეცი ქალაღი და კარანდაში დუქანში, სადაც მაშინ მუშაობდა (ეს იყო ავქალის ქუჩაზე, ომარხანას სახლებზე ზევით, ეხლა რომ ღვინის „პოდვალა“) მომწვდა უცებ და ხელზე მაკოცა. ამ ხნის შემდეგ წიგნების კითხვის გარდა გული აღარაზე მისდიოდა. შველამ აბუჩად აიგდო და ისიც არავის უდგებოდა. პტყობდა რომ არავინ თანაუგრძნობდა მის ქცევას და ამისათვის ყველას შორს უვლიდა. მარტო მაშინ მივიდოდა ხოლმე ძმასთანაც და ნათესავებთანაც, როდესაც შიმშილს ვეღარ გაუძლებდა.

მრთი წლის შემდეგ მე რუსეთში წავედი და იქ მომივიდა იოსების მშვენიერი (შინაარსით) წერილი. წერილის ბოლოს ჩიოდა რომ ფული არა ჰქონდა წიგნები ეყიდნა. ასე და ამ გვარი ტანჯვით შეისრულა ი. ღ—შვილმა თავისი სურვილი და შემდეგ გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზე.

ცხოვრებაში ი. ღ: იყო ყოველი კაცური ღირსებებით.

სავსე; არა ჰქონდა მას სიფლიდე, ორპირობა, შური. მართის სიტყვით ძალიან პატიოსანი კაცი იყო. „ზამოუთქმელი“ იყო, მაგრამ თუ იტყოდა—იტყოდა მართალს, დაუფერებელივ. შიმშილით რომ კუჭი სწოდა, ერთი მანათი ჰქონდა ჯიბეში და გაეგო რომ ახალი წიგნი გამოვიდაო, შიმშილით გადასანსაღდებოდა და იმ წიგნს იყიდდა, თითონ წაიკითხავდა და მერე თავის ნაცნობებს და ამხანაგებს წაუკითხავდა და აუხსნიდა.

უყვარდა თავისი სამშობლო და თუ სიცოცხლეს ნატრობდა—ნატრობდა იმისთვის, რომ სარგებლობა რამ მოეტანა მისთვის; უყვარდა განათლებულნი პირნი, ებრალებოდა „დაბალი“, ბნელი ხალხი; უყვარდა ყოველგვარი ხელოვნება, უყვარდა თეატრი.

ი. ღ—შვილს შეეძლო კარგათ ეცხოვრა, როგორც კარგ ხელოსანს, მაგრამ, როგორც ვიცით ყველამ, არც ტანისამოსით და არც კუჭის სიმძღვრით უბრალო მთხოვარისაგან არ გაირჩეოდა; თუ იშოვიდა რასმე უსათოვოდ ეცდებოდა რომ მოყვასისთვის ანუ მოყვასის სასარგებლო საქმისთვის შეეწირა. აქ მაგალითებს ბევრს მოვიყვანდით, მაგრამ საჭირო არ არის—ვინც იცნობდა ი. ღ—შვილს იმან კარგად იცის ყველა ეს და მას (ი. ღ—ს) ხომ საქართველოს ყველა კუთხეში იცნობდნენ...

მხლა ორიოდე სიტყვა მინდა ვსთქვა იმაზე თუ როგორ უყურებდნენ, როგორ ექცეოდნენ მას ისინი ვისთვისაც კვდებოდა, ვისაც რაღაც მოწიწებით და სასოებით შეჰყურებდა. საწყალი, გაუნათლებელი, მუშა ხალხი ამბობდა მასზე: „ჭკვიანი კაცია,“ „ერთი გროში რომ ჰქონდეს და კაცმა სთხოვოს უარს არ ეტყვის.“ რამ საქმე, შემთხვევა რომ ყოფილიყო, ამბობდნენ; „იოსებასთან წავიდეთ, ის გვეტყვის, ის გაგვაგებინებს.“ როდესაც ქუჩაში დაინახავდნენ დაიწყებდნენ ლაპარაკს: საწყალი რა ჭკვიანი კაცია და რასა ჰგავს, გლახასავით (მთხოვარა) დადის!

—„ძალადების (წიგნების) კითხვას და ამხანაგების ჩიხინს უნდებდა და თავის-თავი აღარ აგონდებდა და სხვ...“

ღიახ „მდაბიო“ ხალხს უყვარდა; მრავალი ამათგანი ისე შეეჩვია ი. ღ—შვილის საუბარს, წიგნების კითხვის ყურისგდებას, რომ ესენი აცხოვრებდნენ, ჯამაგირსაც კი დაუნთქნავენ რომ შესძლებოდათ...

ნასწავლი (?!) ყმაწვილ-კაცობა როგორ და ექცეოდა, რას ფიქრობდა მასზე?—აი ზედ მიწვევით ამათი ლაპარაკი იოსებზე: „ჰო! კარგი ბიჭია!“ ჩუმი!.. რაც გინდა დასაქმო გააკეთებს!.. ლექსებსაც სწერს, ხა,-ხა,-ხა!..

თელავში წასვლამდის ი. ღ. იყო ბანკის (პრწრუნისეულ) თეატრში უბრალო მუშათ—ფარდის ამწვეათ. მრი მანეთი ჰქონდა თითო წარმოდგენაზე ასე რომ თვეში 12—15 მან. აიღებდა. ბანკის მმართველებმა დეკორატორად მიიღეს ვილაც ტერ-ბრიჭურიანცი, რომელსაც 50 მან. ეძლეოდა თვეში და ისევე იცოდა დეკორატორობა როგორც მე... ჩაის მოყვანა.

ბ. ტერ—გრ—ანცს ძალიან ებევრა ი. ღ—შვილისათვის 2. მ. და სხვებმაც დაინახეს, რომ შეიძლებოდა „ცოტაოდენის“ მოკლება—ათი შაური მოუკლეს. ამ დროს წარმოდგენებიც უფრო იშვიათად იმართებოდა და საწყალი იოსები თვეში 6—7 მ. 50 კ. ძლიესა იღებდა. ამასაც ჰჯერდებოდა, მაგრამ ესეც შეიშურეს—დაითხოვეს. ამის შემდეგ წავიდა თელავში, სადაც მე, ერთს პატიოსან პირთან მიუწყერე წერილი, რომელშიაც ვთხოვედი ჩემს მეგობარს, რომ შესწეოდა სამუშაოს შოვნაში...

ზანა აქ, თბილისში, ზოგი ერთებს, არ შეეძლოთ ერთი ლუკმა პურის შოვნის სახსარი გაეჩინათ ღვეთაშვილისათვის? ზანა არ შეეძლოთ ამისთანა „მოჩილი“ და „ჩუმი“ კაცისათვის 25—30 მ. დაენიშნათ და რამ საქმეზედ დაეყენებინათ—იმისთანა საქმეზედ სადაც პატიოსანი და უტყუარი კაცია საჭირო?—შეეძლოთ, მაგრამ ვისაც შეეძლო—ისინი იქამდის ვერ დამდაბლდნენ, რომ იმისათვის ყურადღება მიექციათ.



სოცხალი იოსებისათვის, რომ ლუკმა გ-ეწინათ, იქნება არც-კი გაეგო ვისმეს და მკვდარ იოსებაზე პტყელ-პტყელი საუბარი კი ბევრის გულს მოუგებს მათ... ალბათ ასე უნდა... ალბათ აქტორობა ცხოვრებაში ძალიან სასარგებლოა.

გიგაურჩიანთ უბსელი.

შტატს ამცირებენ.

„ჩინოვნიკი“.

(თარგმნილი რუსულიდან)

მოხელე შინიკოვი იმისთანა ჯურა ხალხს ეკუთვნოდა, რომელზედაც შეიძლება ითქვას, რომ თვისი არსებობისათვის დღე და ღამ მოშიშრობენ... შინიკოვის ცხოვრებაში ძლიერ ბევრი მიზეზი იყო, რომელიც შიშის ზარსა სცემდა მას. შპირველესი ამ მიზეზთაგანი ესენი იყო: უფროსი გაუჯაერდება, რადგან ხუთი წამი დაიგვიანა, ქალაქი უშნოდ გადასწერა, შეცდომები გაუშვა და მებრევე სხ... უფრო შორეული მიზეზთაგანი: ხმებია, რომ ჩხუბი აუცილებელია, ან და, შინაგან სამინისტროს საქმეებზედ გადადებული ხარჯი შემცირებული იქმნება. მკონებ მოშიშრობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, როცა ხმები დადის, რომ ჩხუბი, თუნდ ხარჯთა შემცირება აუცილებელია, მაგრამ შინიკოვი სულ სხვაფრივ სჯიდა: ის ფიქრობდა, რომ თუ ჩხუბი ასტყდა, მაშინ ხარჯთა დამცირება დაემჩნევა სახელდობრ იმ კანცელარიას, სადაც იგი მსახურებს და ამიტომაც შეიძლება რომ სამსახურიდან დაითხოვონ.

შინიკოვს, ქალაქების გადაწერის გარდა, არ შეუძლიან არაფრის გაკეთება, იმისათვის ძნელი-ღაა მიეჩვიოს სხვა ჯურის კაცებს, რადგანაც თავის კანცელარიას მჭიდროდ შეჰთვისებია. შრთის სიტყვით მას არ შეუძლიან ცხოვრება, არ შეუძლიან მიეკედლოს სხვა გვარ გარემოებას და, მაშასადამე, მთელი მისი არსებობა ოჯახითურთ დამოკიდებუ-

ლია არა მასზედ, არამედ იმ სამსახურზედ, რომელიც მას ხელში უჭირავს და დაკარგვა სამსახურისა იმასა ნიშნავს, რომ მან დაჰკარგოს ცხოვრების უკანასკნელი სახსარი. ამითი, მხოლოდ ამითი, აიხსნება მისი ავად-მყოფობრივი შიში, რომელიც ორ-კეცდება, მით უმეტეს, რომ ამისთანა კაცისათვის, როგორც მინიკოვია, სამსახურის დაკარგვა ისევ ადვილია როგორც გარეშე პირისათვის ერთხელ გადაფურთხება. ამისი მაგალითები თვალ-წინ ეჩხირება, მაგ. მისი კარგი მეგობარი, ჩერნიკოვი, კარგს ჯამაგირს იღებდა, თანამდებობა დიდს ხანს ეჭირა, მაგრამ მერე უფროსს ველარ ასიამოვნა... ეხლა სამსახურში უმყოფობისაგამო სილატაკეში ჩაეარდა.

* * *

მინიკოვს აგერ ოცი წელიწადია უჭირავს ხელში ეს თანამდებობა და ხუტმეტ წელიწადზე მეტია რაც თავისი არსებობისათვის კანკალებს. პარველ წლებში, სამსახურში მყოფობის დროს, მინიკოვს შიში ველარა ჰფლობდა, რადგან იგი ჯერ კიდევ ახალ-გაზდა, ჯან-მრთელი იყო და ჯერ სამსახურს მიჩვეული არ იყო. მაგრამ რაც ხანი გადის, ის უფრო და უფრო ეჩვევა სამსახურს, შიშიც უფრო მაგარს, მძლავრს ფესვს იკიდებს მასში და ბოლოს სრულიად იბყრობს მას. შიშის გამო მინიკოვი გახდა, ჩვეულებრივი ჩინოვნიკი მოხელე, რომელიც თავის უფროსის წინაშე იკლაკნება, როგორც ყურ-მოჭრილი მონა; მხოლოდ ორს სიტყვას ხმარობს ლაპარაკში თავის უფროსთან: „დიად“! და „მჯერა“-ს! შოველ-დღე, თითქმის 12 საათის განმავლობაში, ერთხელაც არ გადიხრის ზურგსა! მინიკოვი მთელს თავის სიცოცხლეს ისრე ატარებს, როგორც მომართული საათის მაიატნიკი. დღითი—დღე, წლითი—წლად ერთნაირად მიდის მისი საქმე. მაგალითად ვსთქვათ: წარსულს 1870 წ. 19 ივლისს რაც საქმე გაუკეთებია, იგივე საქმეს აკეთებს 20 წ. შემდეგ იმავე დღეს. იგი მიეჩვია ერთხელვე ჭახრაკივით მოწყობილ ცხოვრებას: დილით ჩაის მიირთმევდა, მერე კანცელარიაში

წაბძანდებოდა, სამს საათზედ სადილობდა, შემდეგ დაიძინებდა, ექვსს საათზე ისევ ჩაის მიირთმევდა, მერე კანცელარიაში მივიდოდა და სხ. და სხ... ყოველ-დღე ნათლიასთან ქალღმრთის სათამაშოდ მიდიოდა, ყოველ თთვის 20-ს რიცხვს თავის ამხანაგებთან ერთად ლაზათიანად გადაჰკრავდა ხოლმე. აი ყველაფერი ამ გვარად მიდიოდა ყოველს წელიწადს.

* * *

ღიად, დიდი ხანი გავიდა მას აქეთ, რაც შინიკოვს მოუხდა ერთი მეტად შესამჩნევი შემთხვევა, რომელმაც სულ სხვა ფერი დასდო მის ცხოვრებას. ეს შემთხვევა გახლდათ ცოლის შერთვა. ჯვარის დაწერა აი როგორ მოხდა: „ნაჩალნიკი,“ ჯამაგირს უმატებდა შინიკოვს და თან ეუბნებოდა, რომ დროა ცოლის შერთვისაო. თვითონ შინიკოვი ჰფიქრობდა ამას, მაგრამ რალაც ვერ გარდაეწყვიტა თავისი აზრი სისრულეში მოეყვანა და, კიდევაც ვერ განახორციელებდა ესე ჩქარა თავის სურვილს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ უფროსის ბძანება შეურყეველს და მძლავრს საგანს შეადგენს... შინიკოვის მსგავს პირებთა ცხოვრებაში ყველაფერი სხვის ბძანებით სრულდება ხოლმე. თუმც თვით იმითაც შეუძლიანთ სჯა და მოსაქმობა, მაგრამ არასოდეს თავიანთი აზრის სისრულეში მოეყვანა არ ძალუძსთ, ან და... უფრო თავის „ნაჩალნიკისა“ ეშინიანთ... მონახა თუ არა შინიკოვმა საცოლო, მაშინვე ჯვარი დაიწერა. ამის შემდეგაც მისი ცხოვრება ისე ჩვეულებრივ მიმდინარეობდა, როგორათაც უწინ, მხოლოდ განსხვავება იმაში იყო, რომ ეხლა უფრო შეიყვარა მან თავისი კანცელარია და შიშმა სრულიად შეიპყრო...

* * *

მე-21 წელი გადის რაც შინიკოვი მსახურებს. აი, სწორედ ამ დროს გაისმა ხმები, რომ იმ კანცელარიის მოხელე-



თა ჩიციხეი, სადაც მინიკოვი მსახურობს, უნდა შემცირდესო. ადვილად წარმოიდგენთ რასა ჰგონობდნენ მინიკოვისებრივი ჩინოვნიკები! შევლას შიშის ზარი დაეცა და სრულიად შეიბყრო იგინი. მვითეული იმათთაგანი ცდილობდა „ნაჩალნიკის“ გულის მოგებას. ასე იფიქრეთ, რომ კანცელარიაში მოსამსახურესაც კი „უშლიდნენ“ თავიანთ გულის ფიცარსა... ჩინოვნიკები კანცელარიაში ძლიერ წყნარად დადიოდნენ, დახველებისაც კი ეშინოდათ, მუშაობით ორჯერ მომეტებულს მუშაობდნენ, ვინემ წინად. ამ ნაირად ჰსურდათ „ნაჩალნიკების“ გული მოეგოთ რომ რამე ნაირად თავი დაეხსნათ იმ საზარელ უბედურობისაგან, რომელიც მათ კარზე ედგა. ჩინოვნიკებს იმედი ჰქონდათ, რომ ხმები ტყუილი გამოდგება, რადგან უფროსებს ჯერ გარდაწყვეტილი არა უთქვამთ რა, მაგრამ ხმები მართლდებოდნენ. მრთხელ მინიკომეა რაღაც ქალაღი გადასწერა და თავის ნაჩალნიკს ხელის მოსაწერად შეუტანა. სანამ ნაჩალნიკი ხელს მოაწერდა, იგი კარებთან გამოქიმული იდგა. ნაჩალნიკი რაღაც დაღრეჯილი იყო, მხიარულობა. პირის-სახეზედ სრულიად არ ეტყობოდა. უფროსმა ხელი მოაწერა თუ არა, მიუბრუნდა და უთხრა მინიკოვს — ძმობილო, შტატის შემოკლებას აპირებენ!

(შეზღუგი იქნება).

გიგლიოზრავია.

I

„ქართული გრამმატიკის ტერმინოლოგია“.

ქართულის სიტყვიერების მოუვარეთაგან შედგენილი და გამოცემული. ქუთაისი. 1887 წ.

ესლანდელი ქართული სამწერლო ენა რომ არეულ-დარეული და დაუმყარებელია, ამას დიდი დამტკიცება არ უნდა. შეადარეთ ერთის მწერლის ენა მეორე მწერლისას, ან რომლისამე მწერლის ერთი ნაწერი მეორე ნაწერს, ან კიდევ უკეთ, ერთის წერილის პირ-

ველი სტრიქონები უკანასკნელს სტრიქონებს და ცხადია დაინახავთ, რომ ესლანდელს მწერლებს არა რაიმე ენის წესი და რიგი არა აქვთ მიღებული და დამყარებული. ეს მოვლენა რას გვიმტკიცებს? იმას კი არა, რომ ვითომ ქართული ენა ბუნებით წაღაც უწესური და ურიგო ენა იყოს. არა, მას თავის წესი და რიგი აქვს, სოლო უბედურება ის არის, რომ ეს წესები და რიგები მწერლებს არა აქვთ შეგნებული.

რატომ არა აქვთ ჩვენ მწერლებს შეგნებული ქართულის ენის წესები? იმიტომ რომ იმათ ქართული სპეციალად არ უსწავლიათ; იმიტომ რომ გრამატიკა მეცნიერულად არა გვაქვს გამოკვლეული; იმიტომ რომ ისინი არა ცდილობენ გრამატიკის შესაგნებელად ერთმანეთის რჩევისა და ცოდნის მოსმენას.

ევროპაში ენის გამოკვლევა აკადემიკოსებსა და პროფესორებს აძევთ ვალად. ჩვენ ევროპელების მიხედვით, ცხადია, არ შეგვიძლიან. აკადემიკოსებისა და პროფესორების მაგიერობა იმათ უნდა გაგვიწიონ, ვინც ენის მცოდნეებად და მოყვარეებად ითვლებიან. იმათი ვალაა შეერთებული შრომით და ცოდნით გამოიკვლიონ ენის ბუნებრივი წესები, შეიტანონ მწერლობაში გრამატიკული ერთგვარობა და დაამყარონ ყოველ ნაირ ტესნიკური ტერმინები.

ეს მოვალეობა კარგად უგრძნიათ ქუთაისში ქართულის სიტყვიერების მოყვარეთ. მათ შეერთებული შრომით მიუყვიათ სული ქართულის გრამატიკის წესების გამოკვლევისათვის და თავიანთ შრომის პირველს ნაყოფათ გამოუღიათ ამ წერილის სათაურად მოხსენებული წიგნი: „ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია“.

თუმიცა ძლიერ სასიამოვნოა ამ წიგნის გამოცემა და მადლობის ღირსნიც არიან მის გამომცემელი, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ მის გამოცემა ადრეულია. დღეს რომ ქართული გრამატიკა გამოკვლეული იყოს ისე, როგორც სასურველია, დიან რომ ტერმინების ერთგვარობა კარგი რამ იქნებოდა. მაგრამ რაკი ის ვერ კიდევ სულ-უხლებელია, ტერმინების გამოცემაც წინამასწარმობაა. რა იცინა პატივცემულმა ქუთათურმა მოქართულეებმა, რომ თვით გრამატიკის გამოკვლევის დროს რომელიმე მათგან მიღებული ტერმინი ან გამოსატყველი, ან სრულად მოსაყვობი არ გახდება? ან



რატომ ჯგონით მათ, რომ სახლის ტერმინების შემოღება ადარ იქნება საჭირო? ჯერ გამოსაკვლევი და სამუშაო ბევრი აქვთ და იქნება ბევრი რამ აღმოჩინონ სახლი და აქნობამდის უცნობი! ამიტომაც მე ვამჯობინებდი, რომ ბატონთ ქუთათურის მოქართულებს ჯერ თვით გრამატიკის შემუშავებისათვის მოეკიდნათ სელი და ტერმინოლოგიის მეტე დაემყარებინათ.

ტერმინებში საკრიტიკოს ბევრსა ვხედავ. ჩემის აზრით ბევრი მეტია, ბევრი აკლია და ბევრიც ვერ არის მოხერხებული, მაგრამ ამ სასადა არა იყოს გამბობ. რადგან, როგორც ვთქვი, ადრეულია ტერმინებზე ლაზარაკი, ჯერ-ჯერობით ვისურვებთ სულით და გულით, რომ თავიანთ საქმეს პატრივტიული მშრომელები ბოლომდის მიჰყოლიყვნენ და მათ მიმბაძავები ჩვენს თბილისის ქალაქშიაც გამოხეჩნიყვნენ.

II

ორი მოთხრობა ს. მკალობლიშვილისა: I ცვრეგასზე და II, დიდ-შალაში. თბილისი. 1887 წ.

ბ. ყიფშიძე ამ სააღდგომოდ სწორე კარგა ყოფილა ჩავონე-ბული, რომ მკალობლიშვილის ეს მოთხრობები გამოუცია ცალკე წიგნად. ცვრეგასზე — მშვენიერი საკითხავი მოთხრობაა, რომელშიაც დასატუღია სურათულად სოფლის საზოგადოდ მარტივის ცხოვრების ერთი მარტივი შემთხვევა — ქალ-ვაყის სიყვარული. ამ მარტივს სურათებში ისეთის სისრულით და სინამდვილით გამოხეჩვივს ჩვენის სოფლის მცხოვრებლების სასიათი და ზნე, რომ გეგონებათ ავტორს ვიდაც თქვენი ნაცნობი გლეხები დაუსატიაო.

უკეთესი იქნებოდა, რომ ამ მოთხრობას არ ეკრას მეორე სურათული მოთხრობა დიდ-შალაში. თუმიცა ესეც ჩვეულებრივის სოფრონულის კილოთი და ნიჭით არის დაწერილი, მაგრამ, რაკი სულ სსვა წრეს შეესება და სულ სსვა ჯურის ხალხია იქ დასატუღი, წინამდეგობას უწევს პარველის მოთხრობითგან მიღებულს ჩაბეჭდილებას, მკითხველის მსიარულება და ოცნება, პირველის მოთხრობისგან გამოწვეული, მეორის წაკითხვის შემდეგ ბოლმად და ნაღვლად იქცევა. მაგრამ ეს ხომ ავტორის დიჩსებაა და მის ხელოვნებას ამტკიცებს მარტო!

დ. დეკანოზიძე (კახიჭავჭავაძე)

თბილისი, აპრილის 7.

* *

როგორც შევიტყუეთ, გელის-ცისელს, წარსულს წელს უთარგმნია ორი პიესა. „ინესა-დე-კასტრიო“—სუთ მოქმედებიანი ტრაგედია გომესისა და ერთ მოქმედებიანი კომედია „მოგზაურნი“. ესლას სთარგმნის სუთ მოქმედებიან დრამას „უკანასკნელი გამოსულა“ (ПОСЛѢДНІЙ ВЫХОДЪ).

ქართული თეატრი.

ნათქვამია: „უპატრონო სახლს ეშმაკები დაეპატრონებიანო“. ჩვენ თეატრსაც ასე მოუვიდა. ქართულმა დრამტიულმა საზოგადოებამ თავი მიანება ყოველს დრამატიულს საქმეს და ყველა, ვისაც კი ჰსურს, ჰმართავს წარმოდგენებს.

კომიტეტის წევრებს, როგორც შევიტყუეთ ერთის მხრით, წარსული სეზონის დრამები არ მოსწონებიათ და უფიქრიათ ტრაგედიების დაწოლა. ამ მიზნით ერთი მათგანი (ტრაგედიებთაგანი არა, კომიტეტის წევრთაგანი) კიდევ შესდგომია დამხარის (უკაცრავად, „დამხარდამ“ უნდა) სწოლას. ეს ამისათვის ყოფილას თურმე საჭირო, რომ შეიძლება კაცს თავისი როლის „თამაშობის“ დროს იქამდის მოეწონოს სხვისი როლი და იქამდის დაივიწყოს თავი, რომ ისურვოს სხვისი როლის თამაში. თუ ამ ქცევით უპატიურებას მიაყენებს ვისმეს, „დუელში“ უნდა (!) გამართხროს და, თუ კარგად არ იცის სწოლა, თვითონვე გაჰამბულდება... მეორეს მხრით როგორც შევიტყუეთ, კომიტეტმა ბრალი აიყარა: ჩვენ აღარ გვცალღიან მაგისტანა ზუსტიაკებისთვის, როგორც არის თქვენი თეატრიო; ესლას დახობანა („დაჩა“) მოდის და იქ ქართულ უარტისტებოდაც კარგათ ვითამაშებთო, ამისათვის ვაცხადებთ—გიცხადებთო: ესლას, რომ ვილაც ბიჭ-ბუჭები წარმოდგენებს ჰმართავენ „ჩვენ იმაში არა ვითარ მოხაწილეობას არ ვიდებთო.“ ესე ჩემო ბატონებო!...

თუ დრამატული დასის პატრონებმა ასე გამოაცხადეს, არც არწუნისეული თეატრის პატრონები ჩამოუვარდნენ მათ. აი რა უპასუხეს თურმე ამაზე: ჩვენ ფულის მოგება გვინდა, ესლა, „სობრანიები“ მოასლოდა და ახა რა დასლი უნდა ვაჩვენოთ, თუ თეატრის ქირით მაინც არ აუხვიოთ თვალებიო; სწორეთ აი ამისათვის ისე გაუსდით საქმეს ქართულ (არწუნისეული) თეატრის სასჯელსაო, რომ ეს სასული იყოს (თუმცა ეს ესლაც ასე არისო) სინონიმი ბრბოსი, შედგენილისა ბიჭ-ბუჭებისაგან, (ამას ამტკიცებს ად—ლის ჯიბიდან გადასული 65 მ., ჯიბესა შინა არტისტისა-სა ბ. ბ. სუფლიორი გალუსტოვის, რაზსილნი თამაზოვის, პრი-კაშივი საფაროვის და კომპ. ტრუპისა) და ბაზაზხანის შაგირ-დეზიდგანო.) ბანკმა სთქვა და შეუდგა კიდევ ამ საქმის განსორ-ციელებას; 1.) მისცა (აქირავა) თეატრი რაზსილნი თამაზოვს „ცოცხალი“ სურათებისათვის. ეს იყო მათ დროთა შინა, რა უამს სუდოუნიკმა ალექსეევ-მესხიევმა გვაჩვენა ცოცხალი ადამიანები; 2) მისცა—სუფლიორს გალუსტოვს მას უამსა შინა, რადეს გვაჩვენეს ბრბო ნამდვილთა კინტოთა და მამა იგი შაღვასი დამსრჩვალნი რაღაც უცნაური სენისაგან. 3.) ესლა მისტემენ (საქმე გაჩისტუ-ლია) უბორონიების დამგველს ბატონს „ჭაკიას. და სხვა და სხვა... მაგრამ ეს ჩვენი საქმე არ არის. ჩვენ წარმოდგენებზე უნდა ვთქვათ რამე.

სწორეთ მოგასსენოთ, რაც უნდა ყოჩაღათ მოიქცეს ზემო-ხსენებული კომპანიის დასი, იმისთანა წარმოდგენას კვლავ გა-მართავს, როგორც იყო 8 ამ აპრილს: როგორც პიესა, ისე არ-ტისტები მეტად ვნუშიტელნი რამ იყო და. როგორც „კინტოს“ სალომეს (ამბობენ ეს უკანასკნელი („კინტო“) გამოჩენილი პოე-ტისა არისო, მაგრამ რომ მოძულათ კიდევ, არ დავიჯერებ ამ მართალს, სანამ ავტორი არ დასწომს ან მოელს პიესას, ან სა-ლომეს, ან საქვეყნოდ არ გამოაცხადებს რომ ეს პიესა აკივისა არის) კერას დროს ვერ გამოაჩივოთ კინტოსაგან, ისე 8 აპრილს მო-თამაშეთ სტენის გარედ ვერ გამოაჩივოთ ჭაკლახანელ ჩაჭყაპესაგან. ამ დღეს სცენა მოგვარებულა იარმუკას-კვირაობით, როდესაც ბაღღუ-ჭანები ერთი გლეხის ჯიბიდან მუორესაში დამკრებიან; მაგრამ ყველა ეს ასე საქმეები არ იქნებოდა, თუ არტისტებს არა სცოდნოდათ, რომ

ბოლო ზვირგვინებს საქმეს: ბოლოს ლეკური უნდა ყოფილიყო მგრამ ჰრიკაშხიკ საფაროვს (მოწილე გასლდათ) უკვე მიეღო კას-საში შეტანილი ფულები და ეთქვა: ლეკური საჭირო აღარ არისო. ხალხმა ძალა დაატანა. გამობძანდა საფაროვის გამხანინი გალუსტოვი და შემოგვივლა: „აღარ იქნება ლეკური; ახლა აღარ წასვალთ?“ ისე შემოგვტეჭა ამ სიტყვებით, რომ შიშით ჩემ გვერდზე მჯდომს ქაღს ორი ტურნური ერთად გაუსქდა... მას (გალუსტოვს) ჯერ არ გაეთავებინა სიტყვები, ფარდის ქვეშ გამოძვრა, მგონია ბ. აღნიასვილის ვიბეს მძრომი ემაწვილი და გაგვასწავა: „ჯერ ნუ წასვალთ, ნუ, ლეკური იქნება“, იქნება ა! მართალი გამოდგა. ფარდა აისადა და მოციმციმე ქ. ენდრონიკაშვილის მაგიერ წარმოგვიდგა ცხარე ორატორი დავითკა (მაშინისტი), მომწვედელი შემოსსენებელი დასის და კომპ. შუაში, რომელიც (დავითკა) უმტკიცებდა ამ ბრბოს, რომ ესენი არიან კინტოები, მაღხიშკები და თუ კიდევ განმართავენ ამისთანა წარმოდგენას, იგი (დავითკა) გაიქცევა არამც თუ არწრუნისეული თეატრიდამ—თბილისიდანაც კი... ამათ რომ მოილახვარაკეს და და გავიდნენ სტენიდან—დაიწყეს ლეკური ელისბარის ზიკვდილის სადღესასწაულოდ.

კიკვილია.

ნ ა რ ე კ ი

(ს ა გ უ ლ ი ს ხ მ ო).

ცხოვრების კანონები ამერიკაში.

საფუძვლიანად შეისწავლე შენი საქმე. მტკიცედ დაადექი ერთ საქმეს და ნუ გასცვლი მას სხვაზე.

დაეშურე საქმეს, მაგრამ ნუ აჩქარდები: ყველა თავის ჯერზე გააკეთე.

რაც დაიწყო, შეასრულო კიდევ.

ერთი „დღეს“, ორ „ხვალეს“ გერჩიოს. შურს ნუ უგდებ ბევრისაგან ბევრს რჩევას და იყავ დამოუკიდებელი.

რაც კარგათ მოთქმების შემდეგ გადასწყვიტო, ის, უეჭველად, აასრულე კიდევ.

სულათ ნურასოდეს ნუ იქნები; სამუშაოს ნუ გამოუღე თავსა და ხელებს: იმათ ძილის დროს შეუძლიანთ დაისვენონ.

შველას თავაზიანად მოექცე; იყავს ულოგრიელი სიტყვაში და საქმეში; უშველე ეკლიან გზაზე მავალს.

შველაფერი მცირედიდგან დაიწყე: ვინც მალლა სდგას, ისიც ყოფილა ოდესმე დაბლა.

ნუ ცდილობ უცბად გამდიდრებას; ცოტა, მაგრამ პატიოსანი შრომით მოპოვებული სარგებლობა, გააუმჯობესოებს შენს კეთილს მდგომარეობას.

უწინ მოითქმე და შემდეგ გამოსთქვი შენი ჰაზრი: მართო ტუტუცები წამოროშავენ იმას, რაც ენაზე მოადგებათ ხოლმე; — გახსოვდეს, რომ ჰაზრი შენ გეკუთნის, ხოლო ჰაზრი სიტყვით გამოთქმული — სხვებს.

(ბასართობი)

ერთმა მოსამსახურემ ოთახის წმენდის დროს იატაკზე ფული იპოვა, აიღო და თავის ბატონს მიართვა.

— „ეს ფული შენთვის მიხუჭებია, შენი ბატონსანი ქცევისთვის,“ უთხრა ბატონმა.

რამოდენიმე სწის შემდეგ ბატონს დაეკარგა ოქროს ჰატარა ჯიხი. დაუძახა მოსამსახურეს და ჰკითხა: „ხომ არ გინახავს ოქროს ჰატარა ჯიხი?“

— დიას, ბატონო, ვნახე, მაგრამ ჩემთვის საჩუქრად შევინახე ჩემი ბატონსანი ქცევისთვის — მიუგო მოსამსახურემ.

* * *

ერთს სახლობაში ასტუდა მსჯელობა და ბაასი ესლანდელი დროის წნის დატემაზე და მეტადრე უსრდელობის ფრთების გაშლაზე. ამ მსჯელობის დროს, სწორედ ამ წულულის და სენის მეცხველს ემაწვილს კაცს ი. ა — ს. წამოხდა მეტის-მეტი უსრდელო სიტყვა!

იმ წამსვე იგრძნო თავის შეცდომა, ბოდიში მოითხოვა უკუღასთან და განსაკუთრებით მიმართა ქალებს ამ სიტუქციით:

„მომიტევეთ, რომ ჩემის უზრდელობით გამოვედი ზაგრა-ნიციდგანო!“

— „მოტევებისა კი არა, მადლობის ღირსი ხარ, მიუგო ერთმა ქალმა, რომ ჩვენდა შესარცხვენად იქ არც შენ დარჩენილხარ და არც შენი უზრდელობა; აქ, ჩვენში, როგორც იქნება კიდევ დაი-ფარავთ თავსაო.“

კერძო განცხადებანი.

გვირავს 12 აპრილს, საზაფხულო თეატრში, რუსული არტისტების ამხანაგობისაგან იქნება წარმოდგენილი: დღით „Ревизоръ“—გოგოლისა და საღამოთი—„Чародѣйка“ ტრადედია 5 მ. შვაყინსკისა.

იმედი გვაქვს, რომ ორივე ეს წარმოდგენა კარგად ჩაივლის, რადგანაც ეს ამხანაგობა კარგი არტისტებისაგან არის შექმნილი.

Принимается подписка на 1886-1887 г.

(ИЗДАНІЯ ГОДЪ ТРЕТІЙ)

ЕДИНСТВЕННАЯ-ЕЖЕДНЕВНАЯ

ТЕАТРАЛЬНАЯ ГАЗЕТА

4 ВЪ ГОДЪ **„ТЕАТРЪ И ЖИЗНЬ“** 3 ПОЛГОДА
РУБ. **3** РУБ.

Въ газетѣ помѣщаются всѣ свѣдѣнія о всѣхъ театрахъ: сто-
личныхъ, провинціальныхъ и заграничныхъ.

Москва. Большая Дмитровка, домъ Солодовникова.

Редакторъ-Издатель **О. Д. ГРИДНИНЪ.**

(3—3)

რედაქტორ-გამომცემელი ა. ნუბიერაძე

Дозв. Ценз. Тифл. 12-го Апрѣля.

გრ. ჩარკვიანის სტამბა.